

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

\_\_\_ ნოემბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პოზიტიური პირობით - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული 73,70 კვ.მ. ფართის მონაცვლეობა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005) იმ პირობით, რომ დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა შპს „პიაცა ჰლდინგი“-ს მიერ აუნაზღაურდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო თვითონ წყვეტს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.28.005) შპს „პიაცა ჰლდინგი“-ზე სარგებლობაში გადაცემის საკითხს.“

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
- ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.020.01.503) 146.000,0 ლარის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით. ქონების აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდა პოზიტიური პირობით: (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - რომ მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული 73,70 კვ.მ. ფართის მონაცვლეობა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005), იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შევიდეს ცვლილება განკარგულებაში და ნაცვლად იმისა, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, იგი დარჩეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ თვითონ გადაწყვიტოს მისი შპს „პიატა ჰლდინგი“-ზე სარგებლობაში გადაცემის საკითხი. შესაბამისად, განკარგულების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა) პოზიტიური პირობით - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული 73,70 კვ.მ. ფართის მონაცვლეობა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005), იმ პირობით, რომ დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა შპს „პიატა ჰლდინგი“-ს მიერ აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო თვითონ წყვეტს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.28.005) შპს „პიატა ჰლდინგი“-ზე სარგებლობაში გადაცემის საკითხს.“

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

შპს „პიაცა ჰლდინგი“-სა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის 2011 წლის 15 აპრილს გაფორმებული, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ხელშეკრულების) თანახმად, ე.წ. „პიაცას“ მოედნის შპს „პიაცა ჰლდინგი“-ს მიერ სხვადასხვა ღონისძიებებისათვის დამატებითი საფასურის გარეშე გამოიყენების საკითხის გამიჯვნა, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.28.005) შემდგომში შპს „პიაცა ჰლდინგი“-ს მიერ გამოყენების საკითხისაგან. შესაბამისად გამომდინარე იქედან, რომ იგი მოექცევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ თვითონ გადაწყვიტოს შემდგომში მისი შპს „პიაცა ჰლდინგი“-ზე სარგებლობაში გადაცემის საკითხი.“

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე